დანართი – შეთანხმება № 1

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,დაბა პლიუსს" შორის 2019 წლის 23 ოქტომბერს დადებული № 506 და № 507 ხელშეკრულებებზე

ქ. დუშეთი

თებერვალი 2020 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებლის" წინადადების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,დაბა პლიუსს" შორის 2019 წლის 23 ოქტომბერს დაიდო №506 და №507 ხელშეკრულებები.

შპს „დაბა პლიუსის" დირექტორის 2020 წლის 7 თებერვლის N2244 განცხადებისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებლის იოსებ ღარიბაშვილის 2020 წლის 27 თებერვლის N535/09 მოხსენებითი ბარათით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, 2019 წლის 23 ოქტომბრის №506 და №507 ხელშეკრულებების მე-16 მუხლის გათვალისწინებით, ხელშეკრულებების მოქმედების ვადად განისაზღვროს 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ, თვითმმართველი თემი - დუშეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის პირველი მოადგილის ბესიკი ბიჩნიგაურის

სახით, რომლის რეკვიზიტებია: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ა/ა GE24NB033010020011650 22 – **(შემდგომში შემსყიდველი)**

მეორეს მხრივ, შპს "დაბა პლიუსი", წარმოდგენილი დირექტორის დავით ბაისონაშვილის სახით, რომლის რეკვიზიტებია: კასპის რაიონი, სოფელი ხოვლე, ს/კ 432548111 მომსახურე ბანკი – **„საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22; ა/ა GE22BG0000000161506966. - (შემდგომში მიმწოდებელი).**

ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

1. 2019 წლის 23 ოქტომბერს დადებული №506 და №507 ხელშეკრულებების მე-17 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე".
2. დანართი–შეთანხმება №1 ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2019 წლის 23 ოქტომბერს დადებული №506 და №507 ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილე

Dusheti Municipality
Digitally signed by Dusheti Municipality
Date: 2020.02.28 17:09:55 +04'00'

/ბ. ბიჩნიგაური/

მიმწოდებელი:
შპს „დაბა პლიუსის" დირექტორი

David Baisonashvili
Digitally signed by David Baisonashvili
Date: 2020.02.28 20:09:10 +04'00'

/დ. ბაისონაშვილი/

KA990196008196020

535/09

27 / თებერვალი / 2020 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზურაბ სეხნიაშვილს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი
მოწყობის,ინფრასტრუქტურის განვითარების,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
უფროსის იოსებ ღარიბაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას შპს ,,დაბა პლიუსთან" (დირექტორი დავით ბაისონაშვილი) გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შემდეგ ობიექტებზე:

1. მაღაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კაწალხევში საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება - N526 29.10.2019 წ. , მიწოდების ვადა 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით).
2. მაღაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჩარგალში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება - N507 23.10.2019 წ. , მიწოდების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით).
3. მაღაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ხომში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა. (ხელშეკრულება - N497 22.10.2019 წ. , მიწოდების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით).
4. მაღაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქალილოში არტეზიული ჭის მოწყობა. (ხელშეკრულება - N491 21.10.2019 წ. , მიწოდების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით).
5. მაღაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გომეწარში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა. (ხელშეკრულება - N488 22.10.2019 წ. , მიწოდების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით).
6. ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბარისახოში თავშეყრის ადგილის მოწყობა. (ხელშეკრულება - N506 23.10.2019 წ. , მიწოდების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით).

კონტრაქტორი კომპანია განცხადებით (N2244 07.02.2020 წ.) ითხოვს ზემოთდასახელებულ ხელშეკრულებებზე, ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გახანგრძლივებას 2020 წლის 30 ივნისამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (N1394/ს 28.06.2018 წ.), ზედამხედველობის გაწევაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ, ადგილზე მისვლით შემოწმებული იქნა აღნიშნული ობიექტები და გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოებას აფერხებს ძლიერი ყინვა და თოვლი, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულებების მოქმედების ვადა გადაიწიოს 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

გთხოვთ, აღნიშნული მოხსენებითი ბარათი შემდგომი რეაგირებისათვის გადააწეროთ მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს. (იხ. დანართი).

სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის
განვითარების, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოსებ ღარიბაშვილი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ: ზურაბ სუხიაშვილს.
შ.პ.ს. „ლიდა ვალტერს" დირექტორის
დავით [illegible]

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „ლიდა ვალტერს"- შორის [illegible] ხელშეკრულებების [illegible] [illegible] №505; №497, №549; №506; №507; №595; №493, №494; №491, №489, №488; №553, №536, №535; №498; №496, №495; №490 ([illegible]) [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 30 ივნისამდე

7.05.2020 წელი

/დავით [illegible]/